# ხელშეკრულება № 02 /00გ
# მომსახურების შესყიდვის შესახებ

*ქ. თბილისი* *2 სექტემბერი, 2015 წელი*

ერთი მხრივ, ა(ა)იპ- *ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი,* რომელსაც წარმოადგენს *მანანა წნორიაშვილი (დირექტორი)* შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული და მეორე მხრივ, შ.პ.ს. **„კვალიფიკაცია" ლევან მეტრეველის** სახით **(დირექტორი),** შემდგომში „შემსრულებლად" წოდებული, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის **სამგორის** ფილიალის (მისამართი: თბილისი, კახეთის გზატკეცილი №76) შენობის ნაწილობრივი სარემონტო და გათბობის სისტემის მოწყობის საპროექტო სამუშაოების შესრულება. **(CPV 71240000, 71321200)**

1.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურება ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად.

2. **ანგარიშსწორების წესი**

2.1. შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურება ანაზღაურდება შესრულებული სამუშაოს (დაკვეთის) შესაბამისად, 9800 ( ცხრა ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

2.2. შემსრულებლის მიერ გაწეულ მომსახურებას აანაზღაურებს შემსყიდველი; თანხა ანაზღაურდება ხელშეკრულების მიხედვით ეროვნულ ვალუტაში.

2.3. ანგარიშსწორება გაწეული მომსახურებისთვის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.4. შემსრულებელს გაწეული მომსახურეობა აუნაზღაურდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სათანადო (სრული) შესრულების შემდგომ, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვროს 2015 წლის 10 ოქტომბრამდე.

3. **მხარეთა პასუხისმგებლობა**

3.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. **ფორს-მაჟორი**

4.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მათი ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა შედეგია დაუძლეველი გარემოებებისა, რომლებიც წარმოიშვა ხელშეკრულების დადების შემდეგ საგანგებო ხასიათის მოვლენათა შედეგად, რომელთა გათვალისწინება ან მათი თავიდან აცილება გონივრული ზომებით ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტებს არ შეეძლო.

5. **მოქმედების ვადა**

5.1. ეს ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ვალდებულებების სრულ შესრულებამდე, ა/წ 1 ნოემბრამდე.

6. **დავათა გადაჭრა**

6.1. მხარეები ეცდებიან ამ ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაჭრან მოლაპარაკებისა და კონსულტაციების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს.

7. **სხვა პირობები**

7.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან ბათილად იქნეს ცნობილი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ან მხარეთა შეთანხმებით. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შესრულებულია წერილობითი ფორმით.

7.2. მხარეებს არა აქვთ არავითარი თანმდევი ზეპირი შეთანხმება. ამ ხელშეკრულების ტექსტი მთლიანად შეესაბამება მხარეების ჭეშმარიტ ნების გამოვლენას.

7.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად თითოეული მხარისათვის და აქვს ერთნაირი იურიდიული ძალა.

8. **მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები**

| | |
|---|---|
| **ა(ა)იპ- ქ. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი** | **შ.პ.ს. „კვალიფიკაცია“** |
| ს/კ 204526352 | ს.კ 204562197 |
| მის: კიევის ქ.№8. | მის. ზღვის უბანი (თემქა)II მ/რ. კორპ.21ა,ბ.183 |
| ტელ.: + (995 32) 2 95 72 48 | ტელ : 599932746 |
| ხაზინის ერთიანი ანგარიში: ა/ა №74127 ბ.კ. TRESGE22 | ს.ს. „საქართველოს ბანკის”ცენტრალური ფილიალი ა.ა ა.ა. GE57BG0000000327697600 |
| ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი | შ.პ.ს „კვალიფიკაციის“დირექტორი |
| **მანანა წნორიაშვილი** | **ლევან მეტრეველი** |
| --- | --- |